წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. ხუთშაბათი სექტემბრის 14—(27) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან შემოსული განცხადება ღირს ერთი ორად.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და სალამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 126 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 126

ქალაქის თეატრი
ხუთშაბათს ენკენისთვის 14, გაიმართება
## დიდი სალამო
სამ განყოფილებათ
I.
## სოციალიზმი
ლექციას წაიკითხავს ალ. თოჩაძე
II.
სალიტერატურო განყოფილება:
ნ. ლორთქიფანიძე—სურათი.
შ. ამირაჯიბი—სონეტი. წაიკითხავს № №
დ. თომაშვილი—ლექსი
შ. კარმელი—ლექსი საკ. ნაწარმოები.
ამ. პირველი—ლექსი საკ. ნაწარმოები და სხვანი.
III.
მუსიკალური განყოფილება:
თავისუფალი მხატვარი ი. ს. მაგაზინერი (სკრიპკა). პარიზის კონსერვატორიის მოსწავლე კომპოზიტორი ვ. ჯაბადარი—(პიანინო) დაუკრავს საკუთარ ნაწარმოებს „ქაჯთა ცეკვას", მომღერალი ჩხაიძე—„შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი"; პიანინოზე დამკვრელი ქალი გოკიელოვის ასული, პიანისტი ნ. შარაბიძე დასხვანი.
დასაწყისი სალამოს სრულ 8 საათზე (ძველი დროით).
ფასები ჩვეულებრივი ✖ დაწვრილებით პროგრამაში.

ელექტრო „ამპირი" თეატრი.
11 ენკენისთვიდან ნაჩვენები იქნება
## კაბირია
5 ეპიზოდათ. მე-2 სერია. უმთავრეს როლს გამოჩენილი მსახიობი მაცისტი ასრულებს.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი.
ნაჩვენები იქნება საუცხოო დრამა
## „გოლგოთა"
მარიამ ბერტოლეს მონაწილეობით 5 ნაწილათ.

## სამტრედიის ქალ. საბჭოს არჩევნები.
1917 წ. 17 ენკენისთვეს დანიშნულია ქალ. სამტრედიის ხმოსნების არჩევნები, ქალაქი ერთ საარჩევნო ოლქათ არის აღიარებული. ამრჩევლებისათვის ხმის მიცემის გასაადვილებლათ საარჩევნო ყუთები დაიდგმება 5 ადგილას: 1. ილორის ორკლასიან სასწავლებელში. 2. მაცხოვრის სამრევლო შკოლაში. 3. მელოურში მიხეილ დიმიტრის-ძე ბუჭუას სახში 4. საზოგადო კლუბის დარბაზში. 5. რკინის გზის კლუბში. ამ დანიშნულ ადგილებში ვისაც სად უფრო ეახლოვება ხმას იქ მისცემს.
სამტ. საქ. საარჩევნო კომიტეტი.

სალამოს საერთო განათლების და მოსამზადებელი უფლებიანი კურსების მასწავლებელთა კოლეგია ამით აცხადებს, რომ ქალაქ ქუთაისში მან გახსნა
## 8-კლასიანი გიმნაზია
უფლებით აღჭურვილი.
ამ წლიდან გაიხსნება პირველი ხუთი კლასი სამი მოსამზადებელი განყოფილებით. საანბანო განყოფილებაში მიიღებიან გამოუცდელათ, დანარჩენ კლასებში კი შესაფერ გამოცდების შემდეგ. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებიდგან შეუძლიათ გადმოსვლა შესაფერ კლასში უეგზამენოთ. იმავე სასწავლებლის კურს დამთავრებულნი მიიღებიან მეხუთე კლასში გამოუცდელათ. მათ და ამ გიმნაზიის სუსტ მოწაფეებს სალამოობით უფასოთ გაუსწორებენ გაკვეთილებს.
მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 10—2 საათამდე.
მისამართი: ფოსტის შესახვევი (ფოსტის პირდაპირ), სახლი № 3.

საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კოლეგიის ხელმძღვანელობით, ქალაქ ქუთაისში გახსნილია სალამოის საყოველთაო მოსამზადებელი
## კურსები,
მოწაფეთათვის უფლებებით აღჭურვილი, სადაც მიიღება ახალგაზრდობა განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა სიმწიფის და სხვა მოწმობებზე მოსამზადებლად.
მისამართი: ქ. ქ. ქართული გიმნაზია 6 საათიდან—8 საათამდის სალამოს.

ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი
ამით აცხადებს, რომ თავის სახელოსნოებისათვის მას ესაჭიროება
## მეწაღეები და მეწუღეები
პირობების გასაგებათ მიმართეთ სასურსათო კომიტეტში სალამოს 5 საათიდან 7 საათამდი.

ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი
ამით აცხადებს, რომ ტყავეულობის, დამზადებული ფეხსაცმელების და მიტკლის დარიგების წესები გაზეთებში ცალკე გამოცხადდება.

## განცხადება.
ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭო აცხადებს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ნებართვით 15 ოკტომბერს 1917 წ. ქ. ქუთაისში მოწვეულია შავი ქვის მრეწველთა მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე (მორიგი)
## საერთო კრება
შემდეგი საკითხების განსახილველათ:
1. კრების თავმჯდომარის და მდივნის არჩევა.
2. განხილვა ანგარიშებისა: ა) საბჭოსი 4 წლ., ბ) სარევიზიო კომისიის, ვ) განმანაწილებელი ბიუროსი.
3. განხილვა სტატისტიკური ცნობებისა შესახებ ამოღებული მადნის რაოდენობისა, საწყობებზე დამზადებულ და გატანილი მადნის რაოდენობისა, დასაწყობ და გადასაზიდავ მოწყობილობისა, რომელნიც ხელთ აქვს რკინის გზის მმართველობას როგორც ჭიათურის შტოზე, ისე მთავარ ლიანდაგზე
4. რკინის გზის საკითხები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მარგანეცის და სხვა საქონლის გადაზიდვის გაუმჯობესებასთან ჭიათურის შტოს საშუალებით.
5. განმანაწილებელ ბიუროს რეორგანიზაცია.
6. სახელმწიფო ბანკიდან მარგანეცის მრეწველებისათვის კრედიტის გახსნა.
7. მარგანეცის გადასაზიდავ ტარიფის დაკლება.
8. შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი.
9. სესხის აღება შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მოქმედების გასაგრძელებლათ.
10. საფუთო გადასახადის მომატება მრეწველთა კრების სასარგებლოთ.
11. გერმანელების კუთვნილი სალიკვიდაციოთ დანიშნული წარმოების შეძენა ჭიათურაში.
12. საბჭოს კანტორის ჭიათურაში გადატანა.
13. ურთიერთობა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს და ჭიათურის საქალაქო თვითმმართველობის შორის.
14. კითხვები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან დაშავებულ მუშათა უზრუნველყოფის საქმის წარმოებასთან.
15. თავისუფალი აფთიაქის გახსნა ჭიათურაში შავი ქვის მრეწველთა კრების ხარჯით,
16. 1917 და 1918 წლების ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
17. არჩევნები საბჭოს მთელი შემადგენლობისა და სხვა თანამდებობის პირთა.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და სალამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## ქართული ოპერა.

ოპერა ხელოვნების უმაღლესი და ურთულესი დარგია.

დრამა, ქანდაკება, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება და მუსიკა ყველა მიზანშეწონილად უნდა შესიხლხორცდეს, ერთმანერთში შეზავდეს, რომ ოპერა შეიქმნას.

დრამას ოპერაში აქვს სიტყვით გამოთქმული აზრი, სულიერი განცდანი და მოქმედება; ქანდაკება სულიერ განცდას სხეულის გამომეტყველებით, მიხრა-მოხრით სახილველად ჩამოასხამს; მხატვრობა და ხუროთმოძღვრება ამზადებს ფონს, სცენას, ასპარეზს მოქმედებისას და მუსიკა ხმათა შეწყობით სმენას აგრძნობინებს...

ამიტომაც, სანამ ოპერა გაჩნდებოდეს, ყველა შემადგენელ ხელოვნებამ ერთგვარ სიმაღლეს უნდა მიაღწიოს.

საქართველოში ხელოვნების მრავალი დარგი სუსტია. ჩვენ მხოლოდ კოჭლი მიმბაძველები ვართ ევროპიელ ხელოვანთა.

დიდი იმედი მაინც გვაქვს ხელოვნების სწრაფი და ძლიერი აყვავებისა, როცა „ნიჭს დაეთმობა გზა ფართო"... ძველის ძველი კულტურა, მართალია, დიდი ხნით მივიწყებულია, ფერფლ-ნაგავით დაფარულია, მაგრამ ნოყიერ ფესვებათ ჩაითვლება ახლად დანერგილ ევროპიულ მეცნიერება—ხელოვნებისათვის. მე-XIX საუკუნის ქართულ დრამას დ. ერისთავმა და ა. ცაგარელმა ჩაუყარეს საფუძველი; მხატვრობას—გ. გაბაშვილმა და გ. თოიძემ; ქანდაკებას—ი. ნიკოლაძემ; მუსიკას. ბ. ბალანჩივაძემ. ფალიაშვილმა და კ. ფოცხვერაშვილმა; ხუროთმოძღვრება ჯერ კიდევ მოელის თავის მესვეურთ· ოპერა ეხლა იბადება.

დაწერილია ერთი თუ ორი ქართული ოპერა, დაწყებული აქვთ რამოდენიმე კომპოზიტორებს, მაგრამ ოპერის დაწერისა და შესრულების შუა ისეთივე დიდი მანძილია, როგორც თანამედროვე შედარება რომ ვიხმაროთ, დამზადებულ ტყვია-წამლისა და ომის მოგების შორის.

თვით ქართული ოპერის შესრულებაზედაც დაუწყიათ ზრუნვა.

გაზეთები გადმოგვცემენ თბილისში 10 სექტებერს ზ. ლორთქიფანიძის თაოსნობით კრება მომხდარა ოპერის ქართველ მომღერალთა; მათ დაუდგენიათ დღეს, 14 სექტემბერს, მოიწვიონ დიდი კრება ქართული კომპოზიტორთა, რეჟისორთა, მუსიკოსებისა და საოპერო მომღერლებისა. კრებამ უნდა შეიმუშაოს წესდება მომავალი საზოგადოებისა, რომელიც მიზნად დაისახავს ქართული ოპერების მოწყობას; წინასწარ გადაუწყვეტიათ შეადგინონ საოპერო დასი და შეიმუშაონ რეპერტუარი...

ყოველ ერს, როგორც ყოველ ადამიანს არსებობისა და განვითარების უფლება აქვს, მაგრამ როგორც კერძო პირს განათლება, განვითარება, ზრდილობა, კაცად-კაცობა, კულტუროსნობა ჩამორჩენილთა უფრო მაღლა აყენებს, ისე ერი კულტურულად აყვავებული მეტს პატივსა და უფლებას ღებულობს.

სხვა რომ არა იყოს რა, ამ მხარეს მაინც მიაქცევს ყურადღებას საერთოდ ხელოვნებისთვის ნაკლებად დაინტერესებული პირი და ყოველისმხრით დაეხმარება საქმის დამწყებთ...

მუდმივი საოპერო დასის დაარსებით ერთ დიდ ნაბიჯს ვდგამთ წინ...

Argon.

## ახალი ხანა.

ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს.

თბილისში დაარსდა საქართველოს ეროვნული საბჭო.

ქართულ ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა.

ეროვნული კრიზისი სრულდება. ურიათობა უიმედობის მანძილი გვშორდება.

იმარჯვებს ერის ბუნებრივი—სალი ძალა. ისტორიამ თავისი გაიტანა და გაყრილ ძმებს ერთად გვკრებს.

ქართველი ინტელიგენცია, 1917 წლის „სიცალიერის" და მოდუნების შემდეგ პირველათ დგება თავის ნამდვილ მოვალეობის შესასრულებლათ.

დღეიდან ჩვენს ცხოვრებას შინაარსი მიეცემა.

არ გვინდა სიხარულმა გაგვიტაცოს, აღტაცებას მივეცეთ. გვჭირია ახლავე საქმეზე გადასვლა. საჩქაროთ სამოქმედო გეგმა უნდა შემოიფარგლოს და მოძრაობას მივეცეთ. ამჟამათ საქართველოს ცხოვრებაში ბევრი რთული—მწვავე კითხვა არის წამოყენებული ადგილობრივ გამგებლობის ეროვნულ ნიადაგზე მოწყობა, სურსათ სანოვაგის საქმის მოწესრიგება და თავდაცვის სისტემა-ორგანიზაცია. სხვა ერებმა საკუთარი შემოქმედება რევოლუციის პირველ ხანშივე გააჩაღეს. ჩვენ ძალზე ჩამოვრჩით, დღეს მეტათ ძნელი იქნება ჩვენი სავალი გზა... მაგრამ ვიწამოთ, რომ სრულიად საქართველოს ხალხის ნების-ყოფა დაბრკოლებას სძლევს და ქვეყანას ხსნის გზაზე დააყენებს. ძვირფასი დღეა ქართველი დემოკრატიისთვის;

ვახერხებთ ერის სასამსახუროთ საერთო სიტყვის თქმას... დროებით დავივიწყოთ პარტიული სივიწროვე და მთელი ხალხის საკეთილდღეოთ ძლიერი თანამშრომლობა შევქმნათ. მომენტს ახასიათებს აშენებლობა-კეთება.

ქართველები სასწრაფოთ უნდა შეუდგეთ რეალ საქმეს—**აშენებლობა კეთებას.** მოუწოდოთ ყველას ვისაც შრომის უნარი აქვს, რაიმეს გაკეთება შეუძლია... დავასამროთ პროგრამული დოგმა ჩვენი ქვეყანა გაკოტრების და დაღუპვის კარამდე, რომ მიიყვანა. საერთო სამართლიანობის დამკვიდრებასთან ერთად განვამტკიცოთ საქართველოს სამართლიან თავისუფალი ყოფა ცხოვრება! ახალი ხანა დადგა, განვიწმინდოთ ძველ სენისგან და შეუდგეთ ამ ახალ ხანაში ეროვნულ ხალხოსნურ შემოქმედებას.

ი. დ—ძე

## ზავისაკენ.

პაპის სამშვიდობო ნოტამ აახმაურა მებრძოლი ქვეყნები. რუსული პრესა დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ მოკლე ხანში ზავის შესახებ რეალური და ფაქტიური მოლაპარაკება დაიწყებაო. მეომარ სახელმწიფოთა ყოფის სინამდვილით გათვალისწინების შემდგომ ყველასათვის ცხადი გახდება, რომ ზავის ჩამოგდება საერთო საჭიროებათ და აუცილებლობათ გადაიქცა. საინტერესოა, რომელი სახელმწიფო იქნება თაოსანი. ვინ მოიგებს ან ვინ დარჩება დამცირებული და გულ დაწყვეტილი ახლობელ ზავით. პაპის ნოტა ყველა სახელმწიფოთ შეეხო, მაგრამ რაღაცა იდუმალ მოსაზრებით არ ახსენა რუსეთი. ამ გარემოებამ რუსეთში საერთო ეჭვი გაამეფა. პრესა (დენი) დიდ უბედურებას ხედავს ზავის ჩამოგდებაში. ომის დამთავრება რუსეთისთვის უდიდესი კითხვაა, მაგრამ აგრეთვე უპირველეს მნიშვნელობის კითხვაა, თუ როგორ ნაყოფს მოუტანს აწინდელი ზავი რევოლუციას. არავინ იცის, როგორი გეგმით მოხდება ზავის შეკვრა: ექნება ადგილი სეპარატიულ ზავს, თუ ყველა მეომარი სახელმწიფო შესწყვეტს ომს.

არც ის არის გამორკვეული რუსეთში, როგორი საფუძველი აქვს ზავის მოთხოვნას. მთელი რუსეთი აღიარებს მას საჭიროთ თუ არა. ზავის ჩამოგდება დიდი და რთული კითხვაა. მას ქართველებიც ღრმათ უნდა ჩაუფიქრდეთ.

ამბობენ, საზავო თაოსნობას ინგლისი და საფრანგეთი იკისრებსო. უფრო მოსალოდნელია, რომ საზავო კომპანია ბერლინში დაწყებული ბერლინშივე დასრულდეს. ყველაფერს ახლო დრო დაგვანახვებს.

**სერ.**

## საქართველოს ეროვნული კრება.

ქართველი პოლიტიკურ პარტიების შეთანხმება და ეროვნული საბჭოს დაარსება იმას მოწმობს, რომ ქართველი ხალხის ნაციონალური თვითგამორკვევა უკვე მოხდა.

მაგრამ „თვითგამორკვევას“ უფრო სრული, იურიდიული ფორმა უნდა მიეცეს.

ქართველი ერის ნებისყოფის კანონიერი ორგანო არის მხოლოდ საქართველოს ეროვნული კრება.

ინტერპარტიული საბჭოს მოვალეობა ის არის, რომ იგი დღიურ ქართულ პოლიტიკურ და ეკონომიურ საქმეთა გაძღოლასთან ერთად ეროვნულ კრების სამზადისს შეუდგეს.

ეროვნული კრება აღჭურავს საბჭოს მთელი ქართველი ერისთვის სავალდებული ავტორიტეტით და მასთან ერთად განამტკიცებს საბოლოოდ საბჭოს საშინაო და საგარეო ფუნქციების მოწყობას.

ეროვნული კრება გარდასწყვეტს საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და ფიზიკურ ძალთა ნაციონალიზაციის საქმეს.

საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიის, მიწის საკითხი, ეროვნული მეურნეობის დალაგება შიმშილის თავიდან ასაცდენად, ადმინისტრაციისა, სკოლის და ჯარის გაქართველება, მეზობელ ერებთან გამიჯვნა, ოსმალეთის საქართველოს ბედი, ქართველ ეროვნული ფონდის დაარსება—ყველა ეს საკითხები სათანადოთ მხოლოდ მაშინ გარდაწყდება, თუ მათზე მთელი ერის კანონიერი დასტური იქნება... უმისოდ ვერც რუსეთის დროებითი მთავრობა, ვერც დამფუძნებელი კრება და ვერც საერთაშორისო კონგრესი საქართველოს საკითხს ვერ გარდასწყვეტს სათანადოთ...

ამ გზას ადგია არა მარტო უკრაინა თავიანთ „რადა“-თი და უნივერსალით, არამედ თვით ჩვენი კავკასიელი მეზობელი ერებიც: მთიელები, თათრები და სომხები.

მთიელებმა, თათრებმა და სომხებმა უკვე მოიწვიეს ეროვნული კრებები და ეროვნული საბჭოებიც მოაწყვეს.

უფრო კულტურულმა საქართველომ იმიტომ დაიგვიანა, რომ ჩვენში პარტიული დაყოფა დიფერენციაცია მეტად ძლიერია.

საჭირო იყო ომის მწარე გაკვეთილების შემდეგ რუსეთის რევოლუციის კრიზისიც დასტეხოდათ თავზე, რომ საქართველოს მარცხენა და მარჯვენა ხელი ერთი მეორეს გარდაჰქდომოდა...

რაც ვიგვიანეთ გვეყოფა... აუცილებელი იყო ეს დაგვიანება თუ არა, ეს ისტორიის საქმეა... დღეის შემდეგ კი არც ერთი საათი არ უნდა დაიკარგოს...

დღეს თუ ხვალ ომი გათავდება... საზავო მოლაპარაკება ფაქტიურად უკვე დაიწყო... საქართველოს მთელს კავკასიასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ექმნება საზავო ხელშეკრულების დროს... ჩვენ ქვეყანაზე ბევრ სახელმწიფოს უჭირავს იმპერიალისტური თვალი: გერმანეთი, ინგლისი და ამერიკაც კი აზიის პროტექტორატზე აშენებენ თავიანთ პოლიტიკას.

დიპლომატიურ უწყებაში ხმა დადის, გერმანეთს ზავის ჩამოგდების ერთ ერთ პირობად თავისუფალი საქართველოს აღდგენა განუცხადებიაო...

ვერმახეთი თურმე ბელგეთის ცოდვის მონანიებას იმით ჰფიქრობს, რომ „რუსეთის ბელგეთის“—საქართველოს ტრაქტატის დარღვევას აყვედრის მოკავშირეებს...

ზავის ჩამოგდებამდის, საქართველო, სამხედრო ასპარეზადაც რომ არ გახდეს, ბევრს ასეთს დიპლომატიურ ავანსებს მოისმენს...

ჩვენი და სხვა პატარა ერების მწარე ისტორიით ვიცით ამ საერთაშორისო ავანსების ნამდვილი ფასი...

ჭკუათმყოფელი ერის პოლიტიკა მხოლოდ ერთ რამეზე უნდა ზრუნავდეს: ერის ფიზიკური, ეკონომიური და პოლიტიკური ძალა განმტკიცდეს ისე, რომ ვერც ერთმა მეზობელმა ერმა ვერ დასჩაგროს ეროვნული თავისუფლება და ყოველი მეომარი სახელმწიფო იძულებული იყოს ანგარიში გაუწიოს ერის ნებისყოფას.

სწორედ ამ ნებისყოფისათვის არის საჭირო საქართველოს ეროვნული კრება...

გზა საქართველოს კრების მოწვევისა სრულებით კანონიერი გზაა, რამდენათ საქმე რევოლუციურ ლეგალობასთან გვაქვს...

რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის პროგრამა, დროებით მთავრობის ივლისის დეკლარაციაში რომ არის გამოთქმული, სრულს შეძლებას გვაძლევს შევჰქმნათ ეროვნული თვითმართველობა... ამისათვის ეროვნული კრება უნდა მოვიწვიოთ.

საქართველოს ყოველი საქმის გზა ეროვნულ კრებისაკენ მიდის... და ეროვნული საბჭოს მისიაც ეს არის... (საქ.

**გრიგოლ ვეშაპელი.**

## ქართული პრესა.

გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაარსების გამო სხვათა შორის სწერს:

„ხორცი შეესხა ჩვენს დიდი ხნის სურვილს და წადილს. რამდენი ხანია ამას მოვითხოვდით ჩვენ, რამდენი ხანია ამის აუცილებლობას ვამტკიცებთ, მაგრამ არ გვიჯეროდენ.

რამდენ გაუგებრობასა და უნდობლობა—შიშს ავიშორებდით თავიდან, რომ ჩვენი დაეჯერებიათ.

ქართველი მშრომელი ხალხი ჩვენთან ერთად სიხარულით მიეგებება ამ ძალთა გამაერთიანებელ დაწესებულებას.

მაშ გაუმარჯოს ქართულ ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს! გაუმარჯოს საქ. სოც.-ფ—თა სარევოლუციო პარტიას, რომელიც თავიდანვე იბრძოდა ასეთი საბჭოს დაარსებისათვის“!

ქართულ ეროვნულ საბჭოს დაარსება ყველას სიამოვნებას აღუძრავს და ისე ძლიერს, რომ პირად პარტიულ ანგარიშებს გაგებისთანავე არ წარუდგენს საზოგადოებას! და მით უფრო ყალბ ანგარიშებს...

როგორც მკითხველმა უწყის ეროვნული საბჭოს დაარსების შესახებ კითხვა პირველად ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანოებმა დააყენეს. სოც.-დემ. „ალიონი“, როგორც კი გამოვიდა, მაშინვე მედგრათ დაიწყო ამავე იდეის ქადაგება.

„შუქურ ვარსკვლავთა“ „სოციალისტურ-რევოლუციურ“ პარტიას ძლიერ შემოკლებია საზოგადოებრივი დამსახურების თანხა, რომ აგრე ეპოტინება ყველაფერს, რასაც უსახელოდ გზაზე დატოვებულს მოჰკრავს თვალს.

„ალიონს“ და „საქართველო ჩვენს ქვეყანას“, არ დაუკრავს ბეჭედი საკუთრებისა ამ კითხვისთვის; მეგობრელებს სული წაუვიდათ, სანამ მიითვისებდენ და დამსახურებისთვის ერთ გამარჯვებას „სოც.-ფედ. რევოლუც“. პარტიისთვის წამოაძახინებდეს მკითხველს.

## რევოლუციის ამბები.

### პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

**მურმანსკში შესვლის აკრძალვა.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 11. მურმანსკში კერძო პირებს გასვლა მხოლოთ განსაკუთრებით შემთხვევებში შეეძლებათ, ისიც სამხედრო უფროსთა მოწმობებით. მოწმობების მიღება შეიძლება პეტროგრადის საზღვაო ჯენერალურ შტაბში, თვით მურმანსკში—კოლას რაიონის უფროსთან და არხანგელსკში უფროსის სამმართველოში. სამმართველო დაწესებულებების მოხელეთ მურმანსკში თავის უფროსიდან და გუბერნიის უფროსის მიერ მიცემულ მოწმობით შეუშვებენ. სამხედრო პირი მურმანსკში შესვლისთვის მთავრობის მიწერილობა უნდა ჰქონდეთ. მუშებს სიების მიხედვით შეუშობენ, მხოლოთ სიებს უნდა ხელს აწერდენ მათ გამომგზავნელ დაწესებულებათა თუ კერძო ფირმების წარმომადგენლები. სიები წინასწარ უნდა შეამოწმებიონ არხანგელსკის და თეთრ ზღვის რაიონის უფროსის სამმართველოში (ტროიცკის პროსპექტი 99) სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოხელეების ოჯახობის მურმანსკში შესვლა უკიდურეს შემთხვევაში შეუძლიათ, რა თქმა უნდა სათანადო მოწმობებით.

**კორნილოვის აჯანყების გამო.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 10. „იზვესტია სოვ. დეპ.“ კორნილოვის აჯანყების შესახებ გამოქვეყნებულ დოკუმენტების შესახებ სწერს: ბურჟუაზიული პრესა შეეცადა დაემტკიცებინა, რომ აჯანყება არ მომხდარა და მხოლოდ გაუგებრობა მოხდა. დავსტოვოთ თუნდაც ეჭვები იმის შესახებ, რომ კერენსკიმ კორნილოვთან მოლაპარაკება იქონია, რამაც შეთქმულობა წარმოშო. კერენსკი კი თვით შესძლებს ჭეშმარიტების გამოაშკარავებას, მაგრამ ჩვენ წინაღმდეგნი ვართ კორნილოვის საქმის გაბათილებაზე. გვერჩება ის აშკარა ფაქტი, რომ კორნილოვი არ დამორჩილდა ბრძანებას უფროსობაზე ხელის აღების შესახებ, არ დაბრუნდა პეტროგრადს, ფრონტს ჯარი გამოაცალა და სატახტო ქალაქის დაპყრობას შეეცადა. ჩვენ მოგვეპოვება ისეთი ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ შეთქმულობა კორნილოვის გვერდით შემოკრებილ ოფიცრებმა და გენერლებმა მოახდინეს. მართლმსაჯულება ყველაფერს გამოააშკარავებს, მაგრამ დროებითმა მთავრობამ ეხლავე უნდა გამოაცხადოს ყველა ის ცნობები, რაც აქამდის შეთქმულების შესახებ მიიღო. ცენტრალ კომიტეტის ბიურო საჭიროდ სთვლის ეთხოვოს აქსენტიევს, სკობელევს და ჩერნოვს აცნობონ კომიტეტს რაც კი შეუტყვიათ ხსენებულ შეთქმულების შესახებ.

**ყაზახთა მოძრაობა.**

**დონის ყაზახთა ყრილობა.**

**ნოვოჩერკასკი.** ენკენისთვის 9. სამხედრო წრის კრებაზე გამოცხადდნენ ცენტრალ კომიტეტის წარმომადგენელნი: სკობელევი, მაზურენკო, სუხოვი, ტესლენკო და სხვები. მაზურენკომ აღნიშნა, რომ თავისუფლების განთიადმა ამ მწუხარე ომის დროს შემოანათა და აღნიშნა, რომ ჯარს, როგორც ყაზახობას დისციპლინა სწყურიაო. ორატორი შეეხო თებერვლისა და თიბათვის დღეებს და აღნიშნა, რომ თვითმპყრობელობასთან და სხვა და სხვა ჯგუფებთან ბრძოლამ მრეწველობა დასცა. სამშობლოს სიმშილი და ტრანსპორტი ელის. დეპუტატთა საბჭოს საქმის მოსაწესრიგებლად დიდი შრომა დასჭირდა: ის იყო საქმე მოაწესრიგეს, რომ პეტროგრადში კორნილოვის ჯარის აჯანყება დაიწყო. თავი იჩინა ათასმა დაბრკოლებამ (ხმები: კალედინი). მაზურენკო განაცხადებს: გენერალი კალედინი სასამართლოში იტყვის თავის სიტყვას (ხმები: იგი სამხედრო წრის სასამართლომ უკვე გაამართლა). მაზურენკო აცხადებს: რომ იგი წრის თვალსაზრისს არ იზიარებს. ატამანს რომ დანაშაული წრის წინაშე მიუძღოდეს, მაშინ წრემ უნდა გაასამართლოს. მაგრამ მას თუ სახელმწიფოებრივი დანაშაული მიუძღვის, მაშინ იგი ქვეყნის სასამართლომ უნდა გაანთავისუფლოს. შრომის ყოფილი მინისტრი სკობელევი ცენტრალ კომიტეტის სახელით სალამს უძღვნის კრებას. როდესაც სკობელევმა კორნილოვს სამშობლოს მოღალატე უწოდა—გაისმის ხმები: „დოკუმენტები“. სკობელევმა განაგრძო: სასამართლო გამოარკვევს მოღალატეა იგი, თუ არა. რევოლუციური დემოკრატია მადლიერია, რომ დონში ის არ ნახა რასაც სწერდნენ. ჩვენც თქვენსავით მოწადინებულნი ვართ, რომ შევქმნათ ძლიერი მთავრობა ყველა მცხოვრებთა წარმომადგენლებისგან (ხმები: მხოლოდ ყაზახობა არ მოიწ..იოთ). კალედინის საქმის შესახებ სკობელევმა განაცხადა, რომ იგი უნდა მოისპოს. შემდეგ კალედინი და ყაზახები შეეკითხნენ ორატორს—თუ საიდან მიიღეს ცნობები დონის ამბების შესახებ. კალედინმა განაცხადა, რომ სკობელევის პასუხით იგი არ კმაყოფილდება. ყაზახები ტაშით ეგებებიან. სკობელევმა განაცხადა: „ყაზახებმა ნდობა გამოუცხადეს თავის ატამანს, მაშასადამე მის მოქმედებაში ვერა ჰპოვეს რა გასაკიცხავი. (მქუხარე ტაში). მაკარენკომ განაცხადა: „მე როგორც თავისუფალ ყუბანის წარმომადგენელი კალედინის სახით ხელს უწვდი ბებერ დონს“. (ხელს ართმევს კალედინს: ყრილობა ოვაციას უმართავს).

## გერმანეთის პასუხი პაპის ნოტაზე.

**სტოკჰოლმი.** ენკენისთვის 9. ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა მთავრობის პასუხის ტექსტი პაპის ნოტაზე. პასუხში უთითებენ, რომ იმპერატორი მხურვალედ მოწადინებულია მთელი ქვეყნის სასარგებლოდ მალე დაამყაროს მშვიდობიანობა. იმპერატორიო, ნათქვამია ტექსტში,—ტახტზე ასვლისთანავე თავის უწმიდეს მოვალეობად სთვლიდა გერმანელთათვის აეცილებია ომი და შფოთი. თავის სეფეს სიტყვაში განაცხადა, არასოდეს ვერვინ შემაცდენს მახვილი ამომაღებინოს გარდა იმ შემთხვევაში, თუ ომს თავზე არ მოვეხვევიანო. 26 წლის გამგებლობაში იმპერატორი მტკიცედ იცავდა თავის აღთქმას. თვით კრიზისის დროს, რომელიც დღევანდელ ომის ცეცხლს წინ უძღოდა, სცდილობდა უკანასკნელს წუთამდე სადავო საკითხები მშვიდობიანად გადაეჭრა. თვით მაშინაც კი, როდესაც მისი სურვილის წინააღმდეგ ომმა იფეთქა, იმპერატორმა თავის მოკავშირეებთან შეთანხმებით ხელი გაუწოდა და სურვილი გამოსთქვა, საზავო მოლაპარაკებაზე მზად ვართ, თუ თქვენც მოისურვებთო. მათთან ერთად მთელი გერმანეთის ხალხიც ამბობდა ამ სიტყვას. გერმანეთს სწყუროდა მშვიდობიანი განვითარება სულიერსა თუ ნივთიერს სფეროში, თავისუფალს კონკურენციას ნებასა რთავდა, მაგრამ ყოველისფერს საფუძვლად უდებდა ყოველ ერის პატივისცემას. მიუხედავად ასეთის სურვილებისა, თავისუფალი განვითარება შესწყდა საბედისწერო 1914 წლის მიერ წარმოშობილ გარემოებათა წყალობით, რამაც სისხლის მორევში გაახვია მთელი ევროპა. დღეს გერმანეთი განსაკუთრებით იზიარებს პაპის შეხედულობას, ჰგწამს განსაზღვრულ გარანტიათა შექმნა მებრძოლთა შორის თანასწორად იარაღის შეხნის შესახებ, აგრეთვე ზღვებზე თავისუფალი მიმოსვლა შეადგენენ ისეთს თემებს, რომელთა გამორკვევით შეიქმნება ახალი გამოხატულება. ახალი სული ურთიერთ შორის დამოკიდებულებათა მოსაწესრიგებლად. გერმანეთს სწამს, რომ ამ წინადადებას სათანადოდ დაუჭერს მხარს გერმანეთის ხალხი, თუ კი ეს არ ავნებს მის პირად ცხოვრებას. არც ერთი ხალხი ისე არაა მოწყურებული ყველასთან კეთილგანწყობილებაში იყოს, როგორც გერმანეთი, რათა შურისძიების ნაცვლად გამეფდეს ძმობა, ერთობა და სიყვარული. როდესაც ყველა ხალხი იწამებს ამას, მაშინ აღარც განმეორდება ასეთი მსოფლიო კატასტროფანიო. პასუხის ბოლოში გამოთქმულია აზრი, რომ გერმანეთის მოწინააღმდეგენი პაპის ნოტაში დაინახავენ საკმაო ნიადაგს, რომ მომავალ ზავისთვის მოსალაპარაკებლად მოვემზადოთო.

## მსოფლიო ომი.

### პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

**რუსეთის ფრონტი.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 11. ოფიციალ. **ჩრდილოეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით პსკოვის გზატკეცილის სამხრეთ რაიონში, რუსის ჯარი შეტევაზე გადავიდა და სილზემნეკის ფრონტზე სპიტალ-ტიმმერმანის ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთ ვერსზე მდებარე მტრის ასპარეზის ნაწილი დავიჭირეთ. გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს. ბრძოლის ველზე მათ 400 მდე გვამი დასტოვეს. რუსებმა ტყვედ იგდეს 60 კაცი. მათ დარჩათ 10 ტყვიისმტყორცნელი. დაიჭირა გენერალი სოკოლოვი.

**დასავლეთი, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები.** სროლა და მფრინავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი არა არის რა.

**მფრინავთა მოქმედება.** კოველის მიმართულებით რუს მფრინავებმა სოფელ იაინოს და ნუენლის წისქვილს ყუმბარებით სროლა აუტეხეს. მოიხმარეს 7 ფუთამდი ყუმბარა და ალაგ-ალაგ ცეცხლი გააჩინეს. გუსიატინის დასავლეთით ჩაბარუვკის რაიონში პრაპორშჩიკ იაგელლომ მტრის მფრინავი ჩამოაგდო. ქვემო დუნაის რაიონში რუსების ჰიდროპლანებმა 18 ყუმბარა ჩააგდეს.

**ჩერნოვიცის რაიონში.**

**მომქმედი ლაშქარი.** ენკენისთვის 10. „ვესტნიკ რუმინსკ. ფრ.“ სწერს: შეიძლება ითქვას, რომ მტერი ჩერნოვიცის რაიონში და დუნაის პირას განაახლებს შეტევას

**საფრანგეთის ფრონტი.**

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** ენკენისთვის 9. საღამოს ოფიციალი. მდ. ენის ფრონტზე საარტილერიო სროლაა. მონეჟინის ფერმასთან და კურსის რაიონში სროლამ მწვავე ხასიათი მიიღო. შამპანში გერმანელებმა მეზონდე-შამპანის რაიონში მოიტანეს იერიში. ის იყო მტერმა შესძლო ჩვენი ხაზის დაჭერა, რომ გავდენეთ ბოსეჟურის მახლობლად ჩვენ მტრის სანგრებში შევიჭერით, მივანგრიეთ საფრები და მასალა ვიგდეთ ხელში. მაასის მარჯვენა მხარზე ბეზვანოსთან გაცხარებული საარტილერიო მოქმედებაა. ზემო ელზასში სეპპუას დასავლეთით მზვერავთა შეტაკებაა.

**პარიზი.** ენკენისთვის 9. ფრონტის სხვა და სხვა ნაწილებში გაცხარებული სარტილერიო ბრძოლაა. შამპანში მაასის ორსავე მხარეს ერთხანს დიდი საარტილერიო ბრძოლა იყო.

**პარიზი** ენკენისთვის 10. გუშინ გერმანელებმა მეზონ-დეშამპანის რაიონში კვლავ მიიტანეს ფრანგებზე იერიშები, ფრანგებმა მოიგერიეს. კორნილე მონგის რაიონში ენერგიული საარტილერიო სროლა იყო. ვოდეზეკური (?) სამხრეთით ფრანგები გერმანელების სანგრებში შეიჭრნენ. მაასის მარცხენა მხარზე საარტილერიო ბრძოლაა. ფესა და რეევენილეს შუა-ვევრში-გერმანელთა იერიში მოიგერიეს. ფრანგებმა ტყვეები იგდეს ხელში.

**მფრინავთა მოქმედება.** ენკენისთვის 9-ში ფრ. ნგ მფრინავებმა გერმანელების 11 ჰაეროპლანი დაჰღუპეს. ენკენისთვის 10 ს ფრანგ მფრინავებმა ყუმბარებით სროლა აუტეხეს დონონის სამხედრო საწყობებს. არანდაზის ქარხნებს შობლეს, ტიონვილის ლუქსემბურგის, გეზერ-ლეომეტცის, სტადენის, რულერისა და კორდემარკის სადგურებს.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** ენკენისთვის 9. იპრის ფრონტზე გერმანელები კონტრ იერიშებს კანაგრძობდნენ. სენ-ჟიულენის აღმოსავლეთით, საღამოს გერმანელებმა ჩვენს ასპარეზებზე მოიტანეს იერიშები. ორი საათის ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა ყველა ასპარეზი შეინარჩუნეს.

**ლონდონი.** ენკენისთვის 10. იპრმენის გზის სამხრეთით დღესაც ცხარე ბრძოლა იყო, მაგრამ გერმანელებმა სოფელ დეატურის დაჭერა ვერ შესძლეს ლურგამის ჯარმა გერმანელების სამი კონტრ-იერიში მოიგერია. გერმანელებმა გუშინდელ დაკარგულ ადგილის ნაწილი დაიბრუნეს. ინგლისელები ენკენისთვის 7-ში დაჭერილ ასპარეზებზე გამაგრდნენ. მონშილეპრეს დასავლეთით ინგლისელთა არტილერიამ გერმანელების თავდასხმა მოიგერია.

**ლონდონი.** ენკენისთვის 11. ლანგუმარკის ჩრდილოეთით გათენებისას გერმანელებმა იერიში მოიტანეს. ინგლისელებმა იერიში მოიგერიეს. ინგლისელების ქვეითა პოლკებმა ამ რაიონში მტრის სანგრების მეორე ნაწილი დაიჭირეს. ინგლისელების არტილერია მოქმედებას განაგრძობს. ბილლარეს აღმოსავლეთით მათ გერმანელ-

ბის იერიშები მოიგერიეს. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. ენკენისთვის 7-დან იპრის ფრონტზე ინგლისელებმა 3.243 ტყვე იგდეს ხელში. მათ შორის 30 ოფიცერია.

**ახლო აღმოსავლეთი**

**პარიზი.** ენკენისთვის 9. ვარდ-რის რაიონში საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. მონასტირის ჩრდილოეთით ბრიტანელ მფრინავებმა დემირის მიდამოებს ყუმბარები დაუშინეს.

**პარიზი.** ენკენისთვის 10. დოირანის ტბის რაიონში საარტილერიო სროლაა. ესსად-ფაშის ალბანელთა ჯარის მონაწილეობით მტრის ხელჩართული იერიში მოიგერიეს. ამ უკანასკნელმა სკუბის ღელეში მტრის ასპარეზებზე მარჯვე თავდასხმა მოახერხა. ხელთ იგდეს 442 ჯანსაღი ტყვე და 2 ტყვიის მფქვეველი.

**იტალიის ფრონტი**

**რომი.** ენკენისთვის 9. ზემო კორდევოლეში, კოლის რაიონში ვუშინ გაცხარებული სროლა იყო. კარსოში, გორიცის ჩრდილო აღმოსავლეთით ჩვენ ტყვები ვიგდეთ ხელში.

**ვილჰელმი ბულგარეთში**

**პარიზი.** ენკენისთვის 9. ციურიხიდან იტყობინებიან, რომ იმპერატორი ვილჰელმი ხუთშაბათიდან სოფიაში იმყოფებაო.

**ლიტვის სეიმი**

**ციურიხი.** ენკენისთვის 9. ლიტვის ბიურო იუწყება, რომ გერმანიის ვილნოში ლიტვის სეიმის მოწვევა და სახელმწიფო საბჭოს დაარსება გადაუწყვეტია. ლიტვა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რეიხსტაგის გახსნის შემდეგ გამოცხადდება.

**ზავის გარშემო. ინგლისი გერმანეთის პასუხზე პაპის ნოტის შესახებ**

**ლონდონი.** ენკენისთვის 10. გერმანეთისა და ავსტრიის პასუხის შესახებ პაპის ნოტაზე „პალ-მელ. გაზეტტი" სწერს: „ის დოკუმენტი, რომელიც არც ბელგიის იხსენებს, არც ერთს იმ მიზანზე, რისთვისაც იბრძვიან მოკავშირენი, ხელს ვერ აგვაღებინებს იმ ზომებზე, რასაც ჩვენ ვიღებთ მშვიდობიანობისა და მის ურყეველ საფუძვლის ასაგებად". „ინვანგნიუსი" სწერს: პასუხში არ არის ნათქვამი კონკრეტად დასმულ კითხვებზე. აქ მხოლოდ გერმანეთისა და მისი ხელისუფალის ქება არის და მეტი არაფერი. „სტანდარტი" სწერს: „ცენტრალ სახელმწიფოთა პასუხიდან არა რა უნდა ვიიმედოთ, რომ პაპის ნოტას რაიმე პრაქტიკული შედეგი მოჰყვეს. „ვესტმინსტერი-გაზეტტი სწერს: „აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პაპის ნოტას რაიმე პარაქტიკული შედეგი მოჰყვეს. „ვესტმინსტერი გაზეთი" სწერს. აღსანიშნავია გარემოება, რომ ცენტრალი სახელმწიფონი პრინციპიალურად თანახმანი არიან შეიარაღების შეზღუდვაზე და სამედიატორო სამართალით გადასწყდეს ყოველი უთანხმოება ამა თუ იმ ქვეყნისაო. წინად გერმანეთი ამის წინააღმდეგი იყო. პასუხშივე ნათლად სჩანს, რომ გერმანეთი დიდადა ჰშიშობს ეკონომიურს დაქვეითებას. რაც შეეხება, რომ გერმანელებმა არა სთქვეს რა დანგრევაზე, უანექსიო ზავზე, ელზას-ლორენზე, უნდა ვიფიქროთ, რმ კარები დაკეტილი არაა და შესაძლებელია მისი გაღებაო.

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

**უქმის გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნუმერი გამოვა შაბათს ენკენისთვის 15 ს.**

✦ **ქუთაისის გუბერნიის კომისარის მოწოდება მცხოვრებლებისადმი.** ვისაც დღეს თავის მოქმედებით არევ-დარევა შემოაქვს მოქალაქეთა ცხოვრებაში, ის მტერია რევოლუციის და თავისუფლების.

მტერია რევოლუციის ის, ვინც მცხოვრებლებს აშინებს და მუქარით მათ ქონებას ითვისებს.

იმ ცნობებით, რომელიც ჩვენ ხელთ გვაქვს, ზოგიერთი პირები უგზავნიან მცხოვრებლებს მუქარის წერილებს, აშინებენ მათ, ემუქრებიან სიკვდილით ან სხვა გვარი სახით შიშ ქვეშ აიძულებენ მათ გადიხადონ ფული.

მოქალაქენო! ასეთი მოქმედება ყოვლად შეუწყნარებელი ჩვენ სასტიკად მოვექცევით ყველა მათ, ვინც დღეს ასეთ სისაძაგლეს ჩაიდენს.

იცოდეს მან, ვინც დღეს მშვიდობიან მცხოვრებთ თავს ესხმის ან აშინებს, რომ მტერია თავისუფლების!

თქვენ კარგად იცით, რომ რევოლუციის პირველ დღეებში ჩვენ სატუსაღოდან გავათავისუფლეთ ბევრი ტუსაღი იმ პირობით, რომ მათ ბოროტ-მოქმედება არ ჩაედინათ ეცხოვრათ როგორც თავისუფალი მოქალაქე და არ შეეწუხებიათ მცხოვრებნი.

ამდენხანს ეს განთავისუფლებულნი ცხოვრობდენ ისე, როგორც შეფერის დღევანდელ პირობებს, მაგრამ დღეს მათ შორის აღმოჩნდენ ისეთები, რომლებმაც თავიანთი სიტყვა დაარღვიეს და მოქალაქეთ აწუხებენ, ძალადობენ მათზე და ფულებსართმევენ.

ჩვენ მოუწოდებთ განთავისუფლებულთ თვით მათ მიიღონ ასეთი პირების წინააღმდეგ ზომები.

ჩვენი ზომა კი ასეთია: თუ ვინმე სატუსაღოდან განთავისუფლებული რაიმე ბოროტმოქმედებას ჩაიდენს, ან თავის ყოფაქცევით საბუთს მოქცემს, რომ ის საზოგადოებას აწუხებს, ის დაუყონებლივ იქნება დატუსაღებული იმ სასჯელის მოსახდელათ, რომელიც მას გადაწყვეტილი ქონდა, და ის სამუდამოდ გამოცხადებული იქნება, როგორც მტერი რევოლუციის.

ყველა მოქალაქე ვალდებულია მოგვაწოდოს ცნობები ამ რევოლუციის მტრების შესახებ.

ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ქუთაისის გუბერნიის კომისარი

**გრ. გიორგაძე.**

ენკენისთვის 11-ს 1917 წ.

ამ უკანასკნელ დროს ძლიერ გახშირდა ყიდვა-გაყიდვა ზოგიერთი პირებისაგან სახაზინო ნივთებისა—ჯარის კაცთა ტანსაცმლებისა.

გატაცებულნი ფულის მოგებით და სხვა დაბალი მიზნებით ისინი ვერ მიმხვდარან თუ რას ჰჩადიან, როდესაც არა ნაკლებად უვიც ჯარის კაცისაგან ყიდულობენ მაზარას, პერანგს, ჩექმას და სხვა.

ასეთი პირები არიან მტრები საშშობლოსი, თავისუფლებისა, რევოლუციისა და ჯარისა და ამიტომ ისინი უსასტიკესათ დაისჯებიან.

ყველა ის, ვინც შემჩნეული იქნება ჯარის კაცთა ნივთების ყიდვაში, დაუყონებლივ მიეცემა სამხედრო სამართალში.

მე მოუწოდებ შეგნებულ მცხოვრებლებს ასეთ ბოროტებასთან საბრძოლველათ.

ჯარის-კაცები, რომლებიც გაყიდიან სახაზინო ნივთებს, გადაეცემიან ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო მყიდველნი—დაუყონებლივ დატუსაღებულნი სამხედრო წესების მიხედვით გასასამართლებლათ.

ქუთაისის გუბერნიის კომისარი

**გრ. გიორგაძე.**

ენკენისთვის 11-ს 1917 წ.

✦ **საღამო.** დღეს ქუთაისის ქალაქის თეატრში იმართება საღამო ლექციით ლექციას წაიკითხავს ბ-ნი **ალექსანდრე თოიძე** შემდეგ თემაზე „**სოციალიზმი**". საღამოში სამი განყოფილებაა ლექცია, ლიტერატურული და მუსიკალური განყოფილება.

✦ **სხდომა.** გუბერნიის აღმ. კომიტეტის სხდომა მოხდება დღეს საღამოს საათის 7-ზე.

✦ **დანიშვნა.** მიწად მოქმედების სამინისტრომ მიწად მოქმედების სამმართველოს წევრათ დანიშნა მოხ. კონ. უვაროვი.

✦ **თანამდებობაზე დასახელება.** სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსის ამხანაგათ ასახელებენ ნაფიც ვექილს **სერგო ლუკასძე ბახტაძეს.** ხოლო ამავე სამმართველოს განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელეთ **გრიგოლ სახინოს-ძე ბარათაშვილს.**

✦ **გაზეთის ფონდისთვის. სტეფანე პავლესძე ფეიქრიშვილმა** გაზ „ჩვენი ქვეყნის" სასარგებლოთ შემოიტანა ხუთი თუმანი.

✦ **მოქმედების განახლება.** როგორც ქუთაისის გუბერნიის კომისარს ატყობინებენ, დრ. მმართველობის განკარგულებით სკობელევის კომიტეტმა, რომელიც ომისაგან დაზარალებული ჯარის კაცთ ეხმარებოდა, მოქმედება განაახლა.

✦ **სკოლის გახსნა.** სოფ. იანეთში (ქვემო იმერეთი) გაიხსნა უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომლის ინსპექტორათაც ქუთაისის სამოსწავლო კომისარიატმა დანიშნა ბარნაბა გელაზანია (პოეტი გელა).

✦ **ფულის გატაცება.** ენკენისთვის 12-ს რიონის და ქუთაისის შუა ვინმე ჯარის კაცმა მგზავრს მატარებელში 500 მან. ამოაცალა ჯიბიდან. მგზავრმა შენიშნა და ჯარის-კაცი, დააკავა, მაგრამ ის მატარებლიდან გადახტა. მილიციელმა რამდენჯერმე ესროლა ჯარისკაცს, ცაგრამ უშედეგოთ.

✦ **ქუთაისის გუბერნიის კომისარისაგან.** გუბერნიის კომისარი მცხოვრებთა საყურადღებოთ შემდეგს აცხადებს: ვინაიდან ქალაქში გამრავლდენ დეზერტირები და საეჭვო პირები, ისევ ვიმეორებთ, რომ ყველა მოქალაქემ თან ატაროს მოწმობა, რაიც ამტკიცებს მის სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულებას.

✦ **გაზეთის გაწერა.** გაზ. „ჩვენი ქვეყანა" ბ-ნმა პავლე ჩხაიძემ გაუწერა სოფ. როკითის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს.

✦ **გაზ. „სოციალ დემოკრატი"** ორშაბათიდან გადიდებული ფორმატით გამოდის.

✦ **ამინდი.** უკანასკნელ დროს ქუთაისში საგრძნობლათ აცივდა ხშირათ წვიმს.

## თბილისი

**უნივერსიტეტი თბილისში.** ენკენისთვის 9 ს თათბირი ჰქონდა ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიასთან არსებულ უმაღლეს განათლების სექციას. თათბირს დაესწრნენ თბილისის პოლიტეხნიკუმისა და ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორები; სხვათაშორის პროფ. მელიქიშვილიც. სექცია შეეხო საკითხს შესახებ იურიევის უნივერსიტეტის გადმოტანისა თბილისში და ის აზრი გამოსთქვა, რომ თბილისს დიდი უპირატესობა აქვს თავისს მოცილე ვორონეჟთან და თუ თბილისის თვითმართველობა ენერგიულად იმოქმედეს, აღნიშნული უნვერსტეტი უთუოდ თბილისში იქნება გადმოტანილი და ჩვენს კუთხეს სამუდამო უნივერსიტეტი ექნებაო. სექციის დადგენილება ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად.

— **სამხედრო ცენზურა.** კავკასიის საოლქო ცენტრმა საღდათებისა, მუშებისა და გლეხების დეპუტატთა საბჭოებისა განიხილა მოხსენება სამხედრო ცენზურის შესახებ და დაადგინა, რომ ყველა დროგამოშვებით გამოცემათა რედაქციებმა ის წერილები, რომელნიც ეხებიან სახელმწიფოს თავდაცვას, სამხედრო ცენზორს წარუდგინონ განსახილველად და ამ უკანასკნელისაგან ნებადართული და ხელმოუწერელი წერილები აღნიშნულ ხასიათისა არ მოათავსონ თავიანთ გამოცემაში. ამასთანავე სტამბის პატრონები, სადაც ეს გამოცემანი იბეჭდება, ვალდებულნი არიან არ დაბეჭდონ ნებადაურთველი წერილები აღნიშნულ შინაარსისა.

— **მოსკოველ სტუდენტთა საყურადღებოდ.** ზანდუკელი მოსკოვიდან დეპეშით ატყობინებს გაზ „საქართველოს", რომ სტუდენტები ნუ ჰშურდებიან, სასწავლებლებს იანვრამდის ჰკეტავენო.

— **ქართული ოპერა.** კვირას, ენკენისთვის 10 ს კლუბის დარბაზში მოხდა ქართველ საოპერო მომღერალთა წინასწარი კრება ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით. ერთხმად გადასწყდა: აუცილებლივ შესდგეს ქართული საოპერო დასი. ამისთვის დაადგინეს მოიწვიონ ხუთშაბათს ენკენისთვის 17-ს ქართულ კლუბის დარბაზში დილის 12 საათზე ყველა აქ და სხვაგან მყოფი ქართველი მომღერალი, კომპოზიტორი, რეჟისორი და და სამუსიკო მოღვაწეთა კრება. განხილულ იქნება მთავარი საკითხები. ქართულ საოპერო მომღერალთა კავშირის დაარსება, მისი წესდების შემუშავება, რეპერტუარი, დასის მოსყობა და სხვა.

— **ქალაქთა წარმომადგენლების კრება.** ენკენისთვის 22-ს თბილისში დაიწყება კავკასიის ქალაქთა დელეგატების კრება. პროგრამა კრებისა მრავალფეროვანია, ქალაქთა კავშირის ორგანიზაცია, საფინანსო სისტემა, სასურსათო საკითხი, სათბობი მასალა, მუშათა საკითხი და ურთიერთობა ქალაქის გამგეობას და მუშა-მოსამსახურეთა შორის, უმახლობელისი საგანი ქალაქის თვითმართველობის განათლების შესახებ და ბრძოლა ლოთების წინააღმდეგ და სხვ.

— **პეტროგრადში შესვლა აიკრძალა.** ენკენისთვის 10 დან. პეტროგრადში უმოწმობოდ შესვლა აიკრძალა. ამის გამო ამიერ-კავკასიის რკინის გზის კასები უმოწმოქოდ არც პეტროგრადზე გასავალ ბილეთს არ მისცემენ რკინის გზის მოსამსახურეთათვის საკმაოა სამსახურის ბილეთი.

— **ქართული ბათალიონი.** მუშ. დეპუტატთ საბჭოში დაადგინეს, სექციის აღმასრულებელ კომიტეტში ერთი ალაგი ქართულ დამკვრელ ბათალიონის წარმომადგენელს დაუთმონ. მას ხმის მიცემის უფლება ექნება.

— **ფულის გადადება პოლიტეხნიკუმისათვის.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა გადასდო თბილისის პოლიტეხნიკუმის მოსამსახურეთათვის 47,000 მანეთი, ხოლო პოლიტეხნიკუმის ბინის მოსაწყობად 100,000 მან.

— **არქეოლოგიური ნაშთების გადმოტანა.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა ნება დართო არქეოლოგს უსპენსკის გადმოიტანოს ტრაპიზონიდან თბილისში არქეოლოგიური ძვირფასი ნივთები.

— **პოლიტეხნიკუმის კანცელარია** დღეიდან (ენკენისთვის 13 გოლოვინის პროსპექტზე გადადის, აბოიანცის სახლში, № 19.

— **მიტროპოლიტ ლეონიდეს დეპეში დროებით მთავრობას.** ქართული საეკლესიო კრების თავჯდომარემ მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს ლეონიდემ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზანა დროებითი მთავრობას: საქართველოს საეკლესიო კრება 500 უფლება მოსილ წევრისგან შემდგარი, მთელ საქართველოსი და მის გარეშე მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენელი, აღფრთოვანებით ეგებება დროებითი მთავრობას და რუსეთის რესპუბლიკას და ლოცვითი უსურვებს მას გამარჯვებას ყოველ გვარ მოწინააღმდეგე ძალებზე, რომლებიც ხელს უშლიან პირობების შექმნას, რომლითაც მოქალაქე უზრუნველ ყოფილი ხდება ისარგებლოს რევოლუციისაგან მოპოვებულ თავისუფლებებით, და ხელს უშლიან აგრეთვე სახელმწიფოში მშვიდობიანობასთან დამყარებას ერების თვითგამორკვევის საფუძველზე. სულიწმინდის ხელმძღვანებული კრება იმედოვნებს, რომ დროებითი მთავრობა, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა აღიარა, მიიღებს ზომებს ქართველი ხალხის სინოდისაგან განსაშორებლად, რომელიც ბორკავდა მას უკანასკნელ ჟამამდე. პოლიტიკურათ კი მოაწყობს საქართველოს ბედს ტერიტორიალურ პოლიტიკურ ავტონომიის დებულებებზე 1783 წლის ტრაქტატის მიხედვით.

**პროვინცია.**

— ქ. ჭიათურა. დღეს, ხუთშაბათს, ენკენისთვის 14-ს ადგილობრივ თეატრის დარბაზში საღამოს ილარიონ ჟღენტი წაიკითხავს მოხსენებას მომენტის და საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიების შესახებ.

# სოფელი და მისი უწესრიგობა.

ამას წინეთ სოციალისტურ და არა სოციალისტურ გაზეთებში წაიკითხავდით, რომ საზოგადოებაში არიან მისთანა პირები, რომლებიც ურჩევენ ხალხს, მიწის პატრონს ღალს ნუ მისცემთო. ამისთანა რჩევა, რა საკვირველია, არეულობას იწვევს. ამას მიუმატოთ კიდევ ერთი დაუჯერებელი, მაგრამ ნამდვილი ცნობა, რომელიც უფრო დიდ როლს ითამაშებს საზოგადოებაში და არევ-დარევას გამოიწვევს და სამწუხარო შედეგს დაბადებს. მე მაქვს სახეში შემდეგი: შორაპნის მაზრაში დაიგზავნა სოფლებში განკარგულება კომისარის თუ ადგილობრივი კომიტეტისა, რომ [illegible] მეტი ყანის შემოსავალი არ მიეცეს მესაკუთრეებს. ეს განკარგულება წინა აღუდგება დროებითი მთავრობის და ამიე-კავკასიის კომისარიატის განკარგულებას და სურვილს. დანამდვილებით მიხრეს, ჩხენკელი თფილისის გუბერნიაში დადიოდა და ხალხს არიგებდა, წრეულს იმ პირობებში დატოვეთ საქმე, რა პირობებითაც აქამდის სარგებლობდით მომავალში შეიცვლება წესები და იმ წესებით ისარგებლებთო. ასეც რომ არ იყოს, მთავრობა მუდამ იმ აზრს ავრცელებდა რომ თვითნებობა მოისპოს ადგილებზე და მის სარგებლობაზე სანამ ეს საკითხი არ დაკანონდებაო. ყოველს საფუძველს მოკლებულია წინათ მოხსენებული ადგილობრივი განკარგულება შორაპნის მაზრისა. ჩვენ ვიცით, რომ მესაკუთრე და მოიჯარადრე ამ რევოლუციის ხანაში შერიგდნენ, რომ შემოსავალი შუაზე გაენაწილებიათ; არც კანონით და არც სიმართლის თვალსაზრისით გადალახვა ამ პირობის შესაწყნარებელი და სასურველი არ არის და ყველამ უნდა მისცეს მხარი ამ დადებულს პირობას და მოსამსახურე პირები კი წინდაწინ აქეზებენ ხალხს თავიანთი მიწერილობით. ეს არ შეასრულოთ, პირობა დაარღვიეთ და ნახევარს ნუ მისცემთო. ბევრს მოიჯარადეს სვინდისიანათ უნდა შეასრულოს თვისი ნებით მიცემული პირობა, მაგრამ მათ აგონებენ, ნუ აასრულებთო და მის მაგიერათ რომ ამ ჩამგონებელთა წინააღმდეგ წავიდეს კომიტეტები თუ კომისარი, თითონ სახიფათო განკარგულებას გზავნიან. ახლანდელს უმთავრეს მართებლობას მხოლოდ ის ქონდა აზრათ, რომ თუ შერიგებული არ ყვნენ მოიჯარადრე და მუშა შესახებ მოსავლის დანაწილებისა და ამ შემთხვევაში ატყდებოდა დავა, მიეღოთ საშუალება, დაენიშნათ მიუდგომელი [illegible] და ამ ნაირათ ჩაექ[illegible] თორემ ამისთანა განკარგულებათ გამოცემა, რომ მიცემული პირობა დაერღვიათ [illegible], ჩვენ წინააღმდეგი კი არ ვართ ღალის რაოდენობა შემცირდეს, მხოლოდ ეს საჭიროა მოხდეს შეთანხმებით ორივ მხრივ (ეს შესაძლებელიც არის!), მხოლოდ ხელოვნურად უთანხმოების გამოწვევა სამწუხარო და დასაგმობია...

არის იმისთანა შემთხვევები, რომ მეპატრონეს თითონ უნდოდა დაემუშავებია ადგილი, მაგრამ მეზობელი მოვიდა და სთხოვა, რომ მისთვის მიეცა ნება სანახევროდ დამუშავებისა. ნუ თუ კანონიერი და სამართლიანი იქნება ამ შემთხვევაში ეს პირობა დაირღვეს, მესაკუთრე მოტყუებული და მშიერი დარჩეს! უნდა მიექცეს ყურადღება ამასაც, რომ სამუშაოთ არი გაცემული კაი ღირსების ადგილი მობმული მოიჯარადრის ეზოზე, ასე რომ მუშას შეუძლია თავის სახლიდან უგდოს ყური თავის ნამუშევარს. არი იმისთანა შემთხვევაც, რომ მესაკუთრის ოჯახში მამაკაცი გადაცვლილია და ქალების ხელშია სახნავი ადგილი, მოქცეული ეზოში, სადაც მცველათ თითონ პატრონი უდგია. ნუ თუ ამისთანა შემთხვევაშიაც პირობას და საქმის არსებით მდგომარეობას ყურადღება არ უნდა მიექცეს? ვინ უნდა იყოს პასუხის მგებელი ამისთანა საქმის არევის და მეზობლებში შურის და მტრობის დათესვის? სასურველია, რომ ამ გარემოებას მიაქციოს დაუყონებლივ ყურადღება გუბერნიის კომისარიატმა და წინაღმდეგი განკარგულება გამოსცეს, თორემ მერე გვიან იქნება.

**შინაური.**

# შევიგნოთ.

რუსეთის დიდი რევოლუციის ექვსი თვის თავი უკვე ისტორიის ფურცლებს ჩაბარდა.

ისტორიის ფურცლებზე ოქროს ასოებით აღიბეჭდება ის ცვლილებანი პოლიტიკურ ცხოვრებისა, რაც ბუმბერაზმა რევოლუციამ წარმოშვა.

ბუმბერაზი რევოლუცია, ეს საყვარელი დედაა ძმობა-ერთობა-თანასწორობისა...

ძმობა, ერთობა, თანასწორობა, თავისუფლება,—აი დევიზი თვითეულ არსისა, თვითეული ადამიანისა, თვითეული ერისა.

ჩაგრული ერი, ეს იმ მონა ადამიანს წააგავს, რომელიც ვისიმე უხეშ ძალადობას ჩაუგდია ხელში და მას სისხლსა სწოვს, ფეხ-ქვეშ სთელავს, თავ-მოყვარეობას უგინებს.

ჩაგრული ერის ინტერესები შელახულია, ფეხ-ქვეშ თელილია, ლეჩაქ-ახდილია იმ ძლიერი ერისაგან, რომელიც მასზე ბატონობს, რომელიც მასზე ბრძანებლობს.

ჩაგრული და მჩაგვრელი!...

ძირიან-ფესვიანათ უნდა აღმოიფხვრას ასეთი ტერმინები.

ამას ვერ იგუებს ჩვენი სული.

ეს უნდა გაანადგუროს რევოლუციამ, როგორც ანადგურებს სხვა ყოველსავე ბოროტებას, როგორც დაამხვრია დესპოტიზმი, როგორც გააქრო ტირანთა თარეში.

რევოლუციურმა სამართლიანობამ უკანვე უნდა დაგვიბრუნოს ყველაფერი, რაც უსამართლო ძალადობამ წაგვართვა.

ჩვენი სული უნდა დამშვიდდეს.

ამისთვის ვსწირავთ რევოლუციას ძალებს—ამისთვის ვილწვით ბრწყინვალე მომავლისაკენ.

გვეყოს წამება.

თვითეულმა ჩვენგანმა უნდა შეიგნოს თავისი „მე", თავის ქვეყნის ჰრილობები.

ჰრილობას წამლობა უნდა.

თუ კი თვითეული ჩვენგანის, თვითეული ქართველის სულში ფესვები გადგმული აქვს თავისუფლება-თანასწორობის აზრს, იდეალს, თუ კი ჩვენს მშრომელ ხალხს სწამს, რომ ეს თუ ის პიროვნება მონა-მორჩილი არ უნდა იყვეს ამა თუ იმ პიროვნებისა, იმ შემთხვევაში ღრმად უნდა გვრწამდეს, რომ ჩვენი ქვეყნის—საქართველოს გაუნთავისუფლებლობა ათასჯერ და ათიათასჯერ უფრო ბოროტება

იქნება ვინმე ამა თუ იმ პიროვნების ფეხქვეშ გათელვა.

შევიგნოთ ეს.

ნუ ავიღებთ მახვილს ჩვენი მშობელის გულში ჩასაკვრელათ.

იგი მოგვიხმობს.

შეერთებული ძალით ხელი გავუწოდოთ.

დროა.

შევიგნოთ ჩვენი ,,მე'', ჩვენი ქვეყნის —საქართველოს ჰრილობები.

ნ. ასათიანი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ამერიკა და ზავი.

სამხრეთ-შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვილსონმა ინგლისელ ჟურნალისტს უთხრა: „ამერიკას ამ ომში ჩარევით თავის კონკრეტიული მიზნები ჰქონდა, მაგრამ ამასთან ერთად იგი იცავდა და იცავს სამართლიანობას და ჩაგრულ ერთა ინტერესს. ამერიკა მოწადინებული იყო, რომ მილიტარისტული გერმანეთი დაესუსტებია და, დაესაჯა, რაც ჯერ შესრულებული არ არის. მიუხედავათ ამისა ამერიკა მაინც მომხრეა საზარელ სისხლის ღვრას ბოლო მოეღოს და ზავი ჩამოვარდეს. საზავო დირექტივის მიცემაზე უფრო ვაშინგტონმა უნდა იფიქროსო. როგორც ჟურნალისტი იუწყება ვილსონს სამშვიდობო მოლაპარაკებაში შუამავლობა სგომებია.

### იაპონელთა დაღლილობა.

იაპონელებს რუსეთისგან შეკვეთილი ჰქონდათ საომარი მასალა—სამხედრო სურსათი, რომელიც ყოველ თვეში ნაწილ ნაწილათ უნდა მიეწოდებიათ უკანასკნელ 5 თვის განმავლობაში იაპონელები სრულიათ არ აწვდიან რუსეთს სამხედრო სურსათს. ისინი ხან უარს აცხადებენ და ხან კიდევ იძახიან „ახლა ჩვენ არა გვცალიაო".

### ჩ ი ნ ე თ ი.

გაზ. „ლოკალ ანცაიგერი" სწერს: „ორი თვე არის რაც უზარმაზარი ჩინეთი საერთაშორისო ომში ჩაერია იგი გამოვიდა ოთხთა შეთანხმების მხარეზე. ახლა იკითხეთ როგორი არსებითი შედეგი მოყვა ჩინეთის ჩარევას. მოკავშირენი გახარებული იყვნენ ჩინეთის ჩარევით. ეგონათ, რომ ჩინეთი მათ სასარგებლოთ ცვლილებას მოახდენდა მსოფლიო ომის მიმდინარეობაში. მაგრამ დღემდის ჩინეთს ცენტრალ კოალიციისთვის სულ პატარა უმნიშვნელო ვნებაც არ მოუტანია, გერმანეთს არც კი უგვრძნია ჩინეთის ომში აქტიური ჩარევა. ჩინეთი ზედმეტს ბარგათ დააწვება ოთხა შეთანხმებას, სარგებლობას კი არავითარს არ მოუტანს, როგორც არ მოუტანა მათ რუმინეთის, იტალეთის და თუნდა სხვათა მიმხრობამ. გერმანეთი თავის დღეში არ ისურვებდა ჩინეთის თანამოკავშირეს.

### ეკონომიური ქრონიკა.

გერმანულ „ბერლინერ გაზეტა''-ში დასტამბულია წერილი ამ სათაურით ,,ეკონომიური ქრონიკა''.

გაზეთი ეხება მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრების ახლობელ პერსპექტივებს და სხვათა შორის ამბობს: „გერმანეთი კიდეც, რომ ვერ გაიმარჯვოს აღმოსავლეთისკენ, ვერ დაეუფლოს აზიურ მაზრებს უმწეობა მაინც არ მოელის. ომის ქარცეცხლმა ყველა სახელმწიფონი დააქვეითა, მაგრამ გერმანეთი ოსტატობით შეხვდა განსაცდელს და ამ ჟამთ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში ოქრო აბსოლუტურათ მოისპო იგი გერმანეთში ბევრია. კარჩაკეტილმა გერმანეთმა მოახერხა საკუთარ თაოსნობით ყოველგვარ წარმოება მრეწველობის შექმნა: ომის გათავების შემდეგ გერმანეთს ნაკლები სიმწარე მოელის. ეკონომიური კრიზისი უმთავრესათ საფრანგეთს ინგლისს და რუსეთს დაუდგებათ. იგინი იძულებული იქნებიან ყოველგვარ თუნდაც საზარალო საეკონომიო ხელშეკრულებას მოაწერონ ხელი. გერმანეთისთვის გზა ყველგან გახსნილი იქნება, რადგან ამას თვითონ მომავალ ცხოვრების პერსპექტივები გვაჩვენებენ.

### ა ვ ს ტ რ ი ა.

იმპერატორს კარლოს ჟურნალისტებთან საუბარი ჰქონდა. მან სხვათა შორის სთქვა. ყველა არა გერმანულ პროვინციებს გარდა სლოვაკების ავტონომიური უფლებები გაუფართოვდება, რაც შეეხება სლოვაკებს მათი კითხვა რეიხსრატში ცალკე გადაწყდებაო. კარლომ აგრეთვე სთქვა, რომ ზავის ჩამოგდების შემდგომ ავსტრიაში დემოკრატიული რეფორმები მოხდებაო.

### ზავი და რუსეთი.

რუსული პრესა ეჭვის თვალით უყურებს საზავო კომპანიას. ზოგიერთი გაზეთები პირდაპირ ამბობენ, რომ დღევანდელი ზავი რუსეთისთვის მავნებელი იქნებაო.

## კ ი დ ე ვ.

### სახალხო მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის შესახებ.

დრონი იცვალენ. 27 თებერვლის რევოლუციამ ძირიან-ფესვიანად შეარყია რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება.

ყოველი დარგის ღირსეულმა მუშამ თავისი ნაშრომის შესაფერი დაფასება მოითხოვა, ვინაიდან, ამას უკარნახებს მას უმთავრესად დღევანდელი საარაკო სიძვირე.

გართულდა ცხოვრება.

სხვა იყო გასულ წელს ჩვენი მდგომარეობა, სულ სხვა არის დღეს. ყოველი მოქალაქე ვალდებულია, შესაფერი ანგარიში გაუწიოს მომენტს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჩამორჩება, გარიყავს მას ცხოვრება.

დიდ მომენტს ფხიზლად უნდა შეხვდერა.

ერთი ვიკითხოთ, ვხედავთ თუ არა ასეთ მოვლენას დღეს? საუბედუროდ, ყველგან ვერა.

ვინც სახალხო მასწავლებლის მდგომარეობას დაახლოებით გაცნობია, ვისაც ჩვენი სოფლების საკეთილდღეოდ შრომა მასხრობად არ მიაჩნია და მათი (სოფლების) სწორე გზაზე დაყენება ოდნავ მაინც აინტერესებს, იგი თვითვე მიხვდება, თუ როგორი სულით ძლიერი, ენერგიით სავსე უნდა იყოს ის პირი, რომელსაც ბედმა სოფლის წინამძღოლობა, მოზარდი თაობის აღზრდა არგუნა, და ამის სამაგიეროდ თვეში ჯამაგირად ის 40 მანეთი მიუჩინა, რომლითაც სახალხო მასწავლებელი თავის ყოველ-გვარ, ოჯახურ თუ პირად მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

ღიახ, 40 მანეთით სცხოვრობს დღეს სოფლის მოზარდი თაობის სულიერი საზრდოს მიმცემი. იმ დროს, როდესაც რუსეთის ეკონომიური ცხოვრება საშინელ კრიზისს განიცდის, როდესაც ყოველ საჭირო საგნის ფასმა ერთი ათად იმატა, ცხადია, რომ 40 მანეთით ცხოვრება შეუძლებელია. ჩვენც ხომ ადამიანები ვართ? ჩვენც ხომ გვეჭირვება სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა და სხვა, ისე როგორც სხვებს? და მერე რა საშვალებით შეგვიძლია დავიკმაყოფილოთ ყოველივე ეს მოთხოვნილება? ორმოცი მანეთით? უგუნურებაა!

ამხანაგებო, რად გძინავთ? რად არ აღიმაღლებთ ხმას თქვენი კანონიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ? ნუ თუ არ გვეყო ის ტანჯვა-ვაება, რასაც ძველი მთავრობის ბრჭყალებში განვიცდიდით? ნუ თუ ახალმა მთავრობამაც უყურადღებოდ უნდა დასტოვოს ჩვენი ჩამოქვეითებული მდგომარეობა?

ნუ ვიზამთ ამას!

მივიღოთ ზომები, ჩვენი ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. კიდევ მოვთხოვოთ დროებით მთავრობას ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

იონა საჩინოელი.

## მოწერილი ამბები

### დ. ა ბ ა შ ა.

8 სექტემბერს დიდ ძალ ხალხში გაიმართა მიტინგი. ლაპარაკობდენ სოციალ-დემოკრატები. ერთი ფედერალისტიც წამოდგა, მაგრამ ხალხმა ლაპარაკის ნება არ მისცა. სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენლები მიაუწოდებდნენ ხალხს, არ დაეზოგა თავი ახალ წყობილების განსამტკიცებლად. სენაკის მაზრის კომისარმა მიულოცა ხალხს რუსეთის რესპუბლიკის გამოცხადება, დრ. მთავრობის გამარჯვება კორნილოვზე და რეაქციულ ბურჟუაზიაზედაც. ხალხში გაისმა ვაშა და მხურვალე ტაში. შემდეგ მოქადაგის წინადადებით პროცესია ჰაემართა ადგილობრივ ორკლასიან სასწავლებლისკენ.

პროცესიამ განვლო სასწავლებლამდი, მობრუნდა სხვა გზით და ისევ წინანდელ ალაგას გაჩერდა. შემდეგ სხვათა შორის ილაპარაკა ჯარის-კაცმა (კაზაკმა).

კრება დახურა თავმჯდომარემ ამ სიტყვებით: „ნიგოითის ლობიოს ნიგოითის წყალი სხვაზე უკეთესად მოხარშავსო. აუცილებელი საჭირო არის ადგილობრივად თვით-მართველობაო და სხვა". აი ეს უფრო ახლო და უფრო კარგათ გვესმაო, დაიძახა ბევრმა უკანასკნელ სიტყვებით ნასიამოვნებმა.

სტუმარი.

## საქართველოს საეკლესიო კრება.

### პირველი დღე.

პარასკევს. ენკენისთვის 8-ს მოხდა ქართულ ეკლესიის ბრწყინვალე კრების გახსნა, რომელზედაც 620 დელეგატი დაესწრო, საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან. კრების გახსნა მით უფრო საგულისხმიერო იყო, რომ დელეგატთა შორის იყვნენ არა მარტო სამღვდელო პირნი, არამედ თითქმის ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, ერის კაცნი, ჯარისკაცთაგან გამოგზავნილი პირები და მრავალი სხ.

წინა ღამეს, საღამოს ლოცვა ცისკრითურთ გადახდილ იქმნა ყოვლად უსამღვდელოეს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს მიერ, ყოვლად სამღვდელოთა ანტონისა, პიროსისა და სხვა მაღალ სამღვდელოებათა თანამწირველობით.

ენკენისთვის 8-ს წირვაზე აურაცხელი ხალხი მიაწყდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში ბილეთებით შესვლა იყო, სიონის ფართო კედლები, როგორც მისი ეზო და გარედ ქუჩა ზღვა ხალხის ტალღით ჰღელავდა.

წირვის შემდგომ თბილელ მიტროპოლიტმა ლეონიდემ მთელ სამღვდელოკრებულით შემორტყმული ამბიონიდან წაიკითხა გუჯარი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. გუჯარის კითხვა, როგორც განთავისუფლების ჰიმნისა, ქართველის წამებულს გულს აიაზმად ესხურებოდა, მრავალნი მხურვალე ცრემლებსა ღვრიდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთავარდიაკონმა სალარიძემ უსურვა მრავალ ჟამიერი ქართველ ერს მიტროპოლიტს, დამსწრეთ და „საუკუნო ხსენება" შეუთვალა უკეთილშობილეს მეფეთა ჩვენთა. მართლმადიდებლობის დამცველთ, მებრძოლთ თავისუფლებისათვის, შემდეგ გაწყვეტილ რგოლების გადასაბმელად გაიხსენა კათალიკოსი ანტონი, მიტროპოლიტი დოსითეოსი, ექვთიმე, არხიმანდრიტი ზაქარია, გრიგორი ბერმონაზონი ფილადელფოს კიკნაძე. ასევე სამარადისო კურთხევა და ხსენება შეუთვალა მათ, ვინც ჰსასოებდენ და იბრძოდნენ ავტოკეფალიისა თუ ერის აღდგენა-დღეგრძელობისთვის...

შემდეგ ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტმა ლეონიდემ დამსწრეთ მიჰმართა მხურვალე მამულიშვილური სიტყვით, რომლითაც ხალხს გაახსენებდა მომენტის ფრიად მნიშვნელობას, მიულოცავდა ხალხს ეკლესიის ასი წლის ტყვეობიდან განთავისუფლებას.

დამსწრეთა სიხარულის ცრემლებს ერთგვარი შვება მიეცათ, როდესაც კათალიკოსის მოსაყდრემ სიტყვა დაამთავრა და ამბიონიდან ივ. ი. რატიშვილის მიერ წაკითხულ იქმნა „ძეგლის დება", რომელიც ჩვენს უძველეს ენაზე იყო შედგენილი. ეს იყო ფიცთა ფიცი ერის წარმომადგენელთა, მაშასადამე, თვით ერისა. ყოველ სიტყვის ძეგლის დებისას დამსწრენი უზადო ფიქრით, წრფელის გულით და სრულის რწმენით იმეორებდა. ასეთივე ძეგლის დება წაკითხულ იქნა ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს მიერ სამღვდელოთათვის.

ამის შემდეგ თბილელმა მიტროპოლიტმა კათალიკოსის მოსაყდრე ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ საეკლესიო კრება გახსნილად გამოაცხადა. ხალხი წმ. ნინოს ხატისკენ გაემართა სამთხვეველად, ხოლო გალობდა „განათლდი, განათლდი ახალო იერუსალიმო".

იმავე საღამოს, ქალთა საეპარქიო სასწავლებლის სააქტო დარბაზში დელეგატთა კერძო თათბირი გაიმართა, რომელზედაც ამორჩეულ იქმნა სამანდატო კომისია და იკამათეს უმთავრესად საორგანიზაციო საკითხებზე.

### მეორე დღე.

9 ენკენ.. 12 საათზე, კრება გაიხსნა სიონის ტაძარში. თავმჯდომარედ მიწვეულ იქმნა მიტროპოლიტი ლეონიდე, რომელმაც კრებას სიტყვით მიჰმართა და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა. აირჩიეს პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ მიტროპოლიტი ლეონიდე, საპატიო წევრებად არჩეულ იქმნენ ყოვლად სამღვდელო **კირიონი**, ეპისკოპოსი **დავითი**, **პროფ. ალ. ცაგარელი, ნიკ. ნიკ. დურნოვო**. და პრ.-დოც. სენატორი **ზურ. ავალიშვილი**. ხოლო პრეზიდიუმის წევრებად ყოვლად სამღვდელო ანტონი, დეკ. კ. კეკელიძე, გ. დ. ჟურული, ს. კედია, მღვდ ქრისტ. ცისკარიშვილი. რაფ. ჩიტუა და ტრიფ. ჯაფარიძე. მდივნებად მიწვეულ იქმნენ პ. ინგოროყვა, ი. ცინცაძე, კ. გაწერელია, ალ. გორგაძე, ალ. წულაძე.

შემდეგ წაკითხულ იქმნა მისალოცი დეპეშების ნაწილი ბერძენთა საზოგადოებიდან, ოსებისაგან, ადგილობრივ რუსთა მცხოვრებლებისაგან, ბაქოს მაჰმადიანთა სახელით თოფჩიბაშევისაგან და კერძო პირთაგან.

### საღამოს სხდომა

საღამოს კრება გაიხსნა სიონის ტაძარშივე, საათის 8. წაკითხულ იქმნა დეპეშა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტისაგან.

„ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი თავს მოვალედა ჰრაცხს მიულოცოს საქართველოს ავტოკეფალურ საეკლესიო ადგილობრივს კრებას. უძველესი ქართული ეკლესია ამიერიდან იწყებს ახალს ბრწყინვალე ცხოვრებას, როდესაც შეძლება ეძლევა სრულ ჰყოს მთელი თავისი შემოქმედებითი ძალა, რაც მთელს საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის ისტორიულს სარბიელზე ეწირებოდა სამშობლო ქვეყნის კულტურულს აღორძინება-აღმაღლებას, მტკიცედ ხელთ ეპყრა ქრისტეს რჯულის ანთებული სანთელი იმ შავბნელ წყვდიადსა და უკუღმართო დროსაც კი, როცა საქართველოს უბედურობა ატყდებოდა. გვწამს, რა კეთილსაქმიანობა საქართველოს საეკლესიო კრებისა, ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი უსურვებს მის თანხმობით მუშაობას ,რათა ნაყოფიერად გარდაეჭრას ყველა კითხვები ივერიის ეკლესიისა და ქართველი ერის სასიკეთოთ.

ამავე საღამოს დეპეშებში საგულისხმიერო იყო სარწმუნოების მინისტრ კარტაშევის მოლოცვა, რამაც დამსწრე საზოგადოებაში ერთგვარი აღშფოთება გამოიწვია, დეპეშა გამოგზავნილი იყო „ქართველ მიტროპოლიტ ლეონიდეს სახელზე".

კრება ერთხმათ მოითხოვდა საპასუხო ტელეგრამაში მინისტრისთვის ეცნობებინათ ხაზგასმით, რომ ყოვლად სამღვდელო ლეონიდე თბილელი მიტროპოლიტია და არა ქართველთა. დაწყნარების შემდეგ დეპეშა ბოლომდინ წაკითხულ იქმნა. მინისტრი ცივად მადლობას უხდიდა კრებას მოწვევისათვის, დრო არა მაქვსო და თანაც მუქარას აყოლებდა: ძალით სასწავლებელის ჩამორთმევასა და ქონებათა განკარგულებას არ შევიწყნარებთო. მოგვიცადეთ, აგერ საგანგებო კომისია შესდგა პეტროგრადში, თქვენც თქვენის მხრით გამოგზავნეთ 3 კაცი, პეტროგრადში მოვილაპარაკებით და თბილისში დავათავებთ ყოველისფერსაო. მინისტრის ასეთ- დეპეშას მრავალნი გამოეხმაურნენ. დეკ. ქ. **ცინცაძე**, როგორც მოციქულად პეტროგრადში წარგზავნილი, ირწმუნებოდა იქ სამი კაცის გაგზავნა საქმის დასამარებას ნიშნავს, პირად გამოცდილებიდან გეუბნებით. იქ ჩავლენ ჩვენები, მაგრამ ყურს არავინ გვათხოვებენო. საზოგადოებამ მხარი დაუჭირა დეკ. კალ. ცინცაძის წინადადებას. ან. ნატროშვილმა კრებას განუმარტა, ჩვენ გვემუქრებიან მხოლოდ იმითი, რომ კრედიტს აღარ მოგცემთო. მაგრამ ეს ნუ შეგვაშინებს. ჩვენ მოვითხოვოთ მონასტრის ის 150 მილიონზე მეტი ქონება, რაც აქედან იქმნა ძალით გატანილი, ვიანგარიშოთ მისი სარგებელი, ჩვენ მათსას არას ვდაობთ, არას ვართმევთ, მხოლოდ ჩვენსას ვიბარებთო. მოითხოვეს პასუხი იმავე გადაჭრით იყოს შიცემული და ისეთივე ფორმით, როგორც იკადრა თვით მინისტრმა კარტაშევმაო, რომ იცოდენ რაც ხდება აქ, ყოველისფერი კანონიერს ნიადაგზეა, იცოდნენ ისიც, რომ ყოველი ნაბიჯი გადადგმული თბილელ მიტროპოლიტისა თუ სამღვდელოების მიერ, ხდებოდა და ხდება მთელი ერის ნების ყოფით, მისი სურვილით და არა კერძო პირთა თავგამოდებითაო. საპასუხო ტექსტის შედგენა მიენდო პრეზიდიუმს მეორე დღისთვის.

მინისტრ კარტაშევის უსიამოვნო შთაბეჭდილება განფანტა აფხაზეთიდან წარმოგზავნილმა მოსალმებამ ანჩაბაძის მიერ, რომლითაც მოითხოვდნენ ჩვენთან ისტორიულ ძმობის აღდგენას და შეერთებას. არქ. ამბროსიმ დეპეშების ტექსტის წაკითხვის შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა აფხაზეთის შესახებ, შეეხო ისტორიულად აღნიშნა დიდი მნიშვნელობა და შენიშნა ამ დეპეშისა და თანაც ნებართვა აიღო პასუხის ტექსტი შეედგინა, ვინაიდან ოფით დეპეშა მის სახელობაზე იყო გამოგზავნილი. კრებამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. შემდეგ ჩხოტუამაც, როგორც აფხაზმა, თავის მხრით სალამი უძღვნა კრებას და ისტორიულ ფაქტათ აღიარა ამიერიდან ამ ორი ხალხის ძმობის აღდგენა.

კვირის დილისა და საღამოს კრება ნაყოფიერობის მხრით ნაკლები იყო, ვიდრე წინასწარი. მოსმენილ იქმნა დეკ. კორ. კეკელიძის მიერ მისასალმებლი ტექსტი ახალ მთავრობისადმი. ტექსტის შესწორებამ დიდი კამათი გამოიწვია. შემდეგ მოისმინეს სამანდატო კომისიის წევრ დეკ. ნიკ. თალაკვაძის სიტყვა მანდატების შემოწმებაზე. ამან თავისებური კამათი გამოიწვია, რაიც საღამოთი ძლივას დამთავრდა.

ამავე საღამოს კრებას მიესალმა უდინთა ეკლესიის დელეგაცია. მათ აღნიშნეს, რომ უდინები და ქართველნი ისტორიულად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, მაგრამ ჟამთა უკუღმართობის გამო უდინები მოსწყდნენ საქართველოს სხეულს და მათი ეკლესიაც განმარტოვდა. ხოლო ეს გარემოება იმედს არ უკარგავდა უდინებს: ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქართველო აღსდგება და განახლდება! სასიხარულო ამბავმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურად გამოცხადებისამ ყველა უდინებში აღფრთოვანება გამოიწვია და მათ იმავე დროს ერთხმად დაადგინეს შეერთებოდნენ ძმურ ეკლესიას.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |


## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ექიმი** ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ-დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში მესხმა „606" და „914") დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 8—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.


სტამბა "ძმობა'' პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში